

ესეთიდანადგარებიმოცულობისყოველ 1მ³-ზე გამოიმუშავენს 0,2-04,მ³ ბიოგაზს.

გარდა ამისა, დამონტაჟებულია რამოდენიმე ლითონის კონსტრუქციის მინისზედა მეთანტენკები და დანყებულია პოლიმერულ-ბოჭკოვანი მასალისგან დამზადებული ბიოგაზის დანადგარების დანერგვა.

ბიოგაზის დანადგარების გავრცელება ხელს შეუწყობს შემაზე მოთხოვნილების შემცირებას, რითაც არა მარტო ტყე გადაურჩება გაჩეხვას, არამედ ნიადაგში, წყალში და ატმოსფეროში არ მოხვდება მავნე ნივთიერებები. გარდა ბიოგაზისა ამ დანადგარებში მიიღება ორგანული სასუქი, რომლის გამოყენება ხელს შეუწყობს მოსავლიანობის ზრდას.

საქართველოში ყოველწლიურად მატულობს მეცხოველეობის ფერმების რიცხვი სადაც გროვდება დიდი რაოდენობით ნარჩენი ბიომასა, რაც მნიშვნელოვანი რესურსია ქვეყნის, როგორც ენერგეტიკული და ეკონომიკური, ასევე გარემოსდაცვითი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

1 მ³ ბიოგაზი



0,6 მ³ ბუნებრივი გაზი

0,7 ლიტრი მავუთი

0,4 ლიტრი ბენზინი

3,5 კგ. შეშა

მომზადებულია ენერგოავტობუსის პროექტის ფარგლებში.



პროექტი ინიცირებული და დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების მიერ.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაეგიაკავშირდით: თბილისი, 0160, დ.გამრეკელის ქუჩა №19, ოფისი № 49, VI სართული.

ტელ: +99532 242540, 242541.

ფაქსი: +99532 242542

ელ.ფოსტა: eecgeo@eecgeo.org

ვებ. გვერდი: www.eecgeo.org

ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო

ბიოგაზის ენერჯია

ბიომასა, როგორც ენერგეტიკული რესურსი, მოიცავს ყველა ცოცხალ თუ არაცოცხალ ბიოლოგიურ ორგანიზმს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სანავად. მათ ჰირველადი ბიომასა ეწოდებათ. მეორადი ბიომასა კი ჰირველადის გადამუშავების შედეგად მიიღება და მოიცავს ხე-ტყისა და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის, სასოფლო სამეურნეო მცენარეული და ცხოველური, კვების მრეწველობის, საყოფაცხოვრებო და მუნიციპალურ ნარჩენებს.

ყოველწლიურად საქართველოში 4,4 მლნ. ტონამდე სხვადასხვა სახის ბიომასა გროვდება, რომლის ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 12,5 მლნ კვტ.სთ-ს წელიწადში და ამ პოტენციალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოიყენება ენერჯის მისაღებად.


საქართველოში ყველაზე პოპულარული ბიო ენერგეტიკული რესურსი შემაა, რომელიც გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად გამოიყენება. ამ მიზნებისათვის ყოველწლიურად 8 მლნ. მ³. შემა იჭრება, რაც დიდ ტვირთად აწევს ქვეყნის სატყეო მეურნეობას. შემაზე მოთხოვნილების შემცირება შესაძ-



ლებელია ამჟამად გავრცელებული ნაკლებად ეფექტური შეშის ღუმელების უფრო ეფექტური ღუმელებით ჩანაცვლებით. ესეთი ღუმელები დაახლოებით 1.5 – 2-ჯერ ნაკლებ შეშას მოიხმარენ ვიდრე ჩვეულებრივი ღუმელები იმავე რაოდენობის სითბოს მისაღებად.



ბოლო წლებში ფერმერულ მეურნეობებში ბიოგაზის მიღების ტექნოლოგიის დანერგვაც დაიწყო. ნებისმიერ მეურნეობაში მთელი წლის განმავლობაში გროვდება ცხოველური, მცენარეული და სხვა სახის ნარჩენები. ამ ნარჩენების გადამუშავება უფრო ეფექტურად შესაძლ-



ბელია ბიოგაზის დანადგარებში სადაც უჟანგბადო გარემოში ორგანული ნივთიერებების ფერმენტაციის შედეგად მიიღება ბიოგაზი, რომლის ძირითადი კომპონენტებია მეთანი და ნახშირორჟანგი.

მრავალი ტიპი ბიოგაზის დანადგარი არსებობს, დანყებული დიდი კომერციული დანადგარებით, დასრულებული მცირე ზომის ე.წ. საოჯახო დანადგარებით. საქართველოში გავრცელებულია ჩინური ტიპის მტკიცე გუმბათიანი და ინდური ტიპის მცურავზარხუფიანი დიზაინის 6 მ³ მოცულობის (4-6 ძროხიდან მიღებული ნარჩენი) დანადგარები. საშუალოდ,

ბიომასა განახლებადი ენერგეტიკული რესურსია. მისი გამოყენება ხელს უწყობს ეკოლოგიური მდომარეობის გაუმჯობესებას, რადგანაც ბიომასა ბიოდეგრადაციის პროცესში ატმოსფეროში უფრო მეტ მავნე ნივთიერებას გამოყოფს, ვიდრე მისი ენერგეტიკულ რესურსად გამოყენებისას.